რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 4 ნოემბ[ერი] 1917 წ.

F247/2 №13236

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 26 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (მეუმრავლესეთა) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 26

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

## ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

# დეკრეტი ზავის შესახებ

ერთხმათ მიღებული საბჭოთა სიეზდების სხდომ ზე.

26 ოქტომბერს.

მუშების და გლეხების მთავრობა, 24—25 ოქტომბრის რევოლიუციით წარმოშობილი, რომელიც ემყარება მუშების, სალდათების და გლეხების დეპუტატთა საბჭოებს, წინადადებას აძლევს ყველა მეომარ ხალხებს და მათ მთავრობებს დაუყოვნებლივ დავიწყოთ მოლაპარაკება სამართლიან დემოკრატიულ ზავის შესახებ.

სამართლიან ანუ დემოკრატიულ ზავათ, რომელიც სწყურია დაქანცულ, დატანჯულ და ომისგან აწიოკებულ ყველა ქვეყნების მუშათა და მშრომელ კლასთა დიდძალ უმრავლესობას; რომელსაც გადაჭრით და თავ-გამოდებით მოითხოვდენ რუსეთის მუშები და გლეხები მეფის მონარქიის ჩამოგდების შემდეგ;—ასეთ ზავათ მთავრობას მიაჩნია დაუყოვნებლივი ზავი უანექსიოთ (ე. ი. სხვისი მიწების მოუტაცებლათ, სხვა ხალხების ძალდატანებით შემოუერთებლათ) და უკონტრიბუციოთ.

რუსეთის მთავრობა წინადადებას აძლევს ყველა მეომარ ხალხებს შეკრულ იქნას ასეთი ზავი დაუყოვნებლივ და მზათაა გაუჭიანურებლათ, ახლავე გააკეთოს ყველა გადამჭრელი ნაბიჯები, სანამ საბოლოოდ დამტკიცდებოდეს ასეთი ზავის ყველა პირობები ყველა ქვეყნების და ყველა ერების სახალხო წარმომადგენელთა უფლება-ღლჭურვილ კრებების მიერ.

ანექსიათ ანუ სხვისი ქვეყნების მოტაცებათ მთავრობას მიაჩნია, საერთოთ დემოკრატიისა და განსაკუთრებით მშრომელ კლასთა უფლებრივი შეგნების თანახმათ, ყოველ გვარი შემოერთება დიდი ან ძლიერი სახელმწიფოს მიერ პატარა ან სუსტი ხალხისა, როდესაც ამ ხალხს გარკვეულათ, ნათლათ და ნება-ყოფლობით არ გამოუთქვამს თანხმობა ან სურვილი, სულ ერთია, როცა უნდა მომხდარიყო ეს ძალ დატანებითი შემოერთება, სულ ერთია აგრეთვე რამდენათ განვითარებული ან ჩამორჩენილია ძალდატანებით შეერთებული ან ძალდატანებით დაჭერილი ნაცია ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში. დასასრულ, სულ ერთია, ევროპაში თუ ოკეანის იქითა ქვეყნებში სცხოვრობს ეს ნაცია.

თუ რომელიმე ნაციას ძალდატანებით აკავებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში, თუ მას, წინაალმდეგ მის მიერ გამოცხადებული სურვილისა—სულ ერთია, გამოცხადებულია ეს სურვილი ბეჭდვით სიტყვაში, სახალხო კრებებზე, პარტიების გადაწყვეტილებაში თუ ამბოხებასა და აჯანყებაში ეროვნული ჩაგვრის წინაალმდეგ—არ აძლევენ უფლებას თავისუფალი ხმის მიცემით, რის დროსაც სავსებით უნდა იყოს გაყვანილი შემაერთებელის ან საერთოთ უფრო ძლიერი ნაციის ჯარი, გადასწყვიტოს მცირედი ძალდატანების გარეშე კითხვა ამ ნაციის სახელმწიფოებრივ არსებობის ფორმების შესახებ, მაშინ მისი შემოერთება არის ანექსია, ე. ი. მოტაცება და ძალმომრეობა.

ამ ომის გაგრძელება იმის გულისთვის, თუ როგორ დაიყონ ძლიერმა და მდიდარმა ნაციებმა მათ მიერ დაპყრობილი სუსტი ხალხები, მთავრობას მიაჩნია უდიდეს დანაშაულათ კაცობრიობის წინაშე და საქვეყნოთ აცხადებს თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ზავის პირობებს, რომელიც შესწყვეტს ამ ომს აღნიშნულ, გამოუკლებლათ ყველა ხალხთათვის, თანასწორათ სამართლიან პირობებზე.

ამავე დროს მთავრობა აცხადებს, რომ ის სრულიათ არ შედის ზავის ზემო-აღნიშნულ პირობების განხილვაში და მოითხოვს მხოლოთ რაც შეიძლება მალე იქნას წარმოდგენილი ისინი რომელიმე მეომარი ქვეყნის მიერ, მოითხოვს სრულიათ ნათელ პირობებს, რათა ზავის პირობების წამოყენების დროს სრულიათ არ ქონდეს ადგილი რაიმე ორ-აზროვნებას და საიდუმლოებას.

მთავრობა სპობს საიდუმლო დიპლომატიას და თავის მხრივ გამოსთქვამს მტკიცე განზრახვას აწარმოვოს ყოველგვარი მოლაპარაკება სრულიათ დაუფარავათ მთელი ხალხის წინაშე და დაუყოვნებლივ შეუდგება იმ საიდუმლო ხელ-შეკრულობების სრულ გამოქვეყნებას, რომლებიც დამტკიცებული ან დადებული იყო მემამულეების და კაპიტალისტების მთავრობის მიერ 1917 წლის თებერვლიდან 25 ოქტომბრამდე. მთელი შინაარსი საიდუმლო ხელშეკრულებებისა, რამდენათაც ეს, როგორც მომეტებულ შემთხვევაში ხდებოდა, მიმართული იყო იქითკენ, რომ მიეცა სარგებლობა და უპირატესობა რუსეთის მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, შეერჩინა ან გაედიდებია ველიკოროსების ანექსიები, მთავრობა აცხადებს უეჭველათ და დაუყოვნებლივ გაუქმებულათ.

მიმართავს რა ყველა ქვეყნის მთავრობებს და ხალხებს წინადადებით დაწყებულ იქნას აშკარა მოლაპარაკება ზავის დადების შესახებ, მთავრობა თავის მხრივ მზათაა აწარმოვოს ეს მოლაპარაკება, როგორც წერილობითი მიწერ-მოწერით, ტელეგრაფის შეშწეობით, აგრეთვე სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მოლაპარაკებით ან ამ წარმომადგენელთა კონფერენციაზე. ამ მოლაპარაკების გასაადვილებლათ მთავრობა ნიშნავს თავის უფლებით აღჭურვილ წარმომადგენელს ნეიტრალურ ქვეყნებში.

მთავრობა წინადადებას აძლევს ყველა მეომარ ქვეყნების ყველა მთავრობებს და ხალხებს დაუყოვნებლივ შეკრათ დროებითი ზავი და თავის მხრივ განსახილველათ აყენებს დროებითი ზავის ვადათ სამ თვეს, როგორც ისეთ ვადას, რომლის განმავლობაში სავსებით შესაძლებელია დამთავრდეს მოლაპარაკება ზავის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ გამოუკლებლათ ყველა ხალხების ან ნაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩათრეული არიან ომში, ან იძულებული იყვნენ მასში მონაწილეობა მიეღოთ, აგრეთვე მოწვევა ყველა ქვეყნების სახალხო წარმომადგენელთა უფლება—აღჭურვილ კრებებისა, რომ საბოლოოთ დამტკიცებულ იქნას ზავის პირობები.

მიმართავს რა ზავის ამ წინადადებით ყველა მეომარ ქვეყნების მთავრობებს და ხალხებს რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით მიმართავს შეგნებულ მუშებს კაცობრიობის სამი ყველაზე მოწინავე ნაციისას, და ამ ომში მონაწილე ყველაზე დიდ სახელმწიფოებისას,—ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიისას. ამ ქვეყნების მუშებმა უდიდესი ღვაწლი დასდეს პროგრესის და სოციალიზმის საქმეს და მისცეს დიდებული მაგალითი ჩარტისტების მოძრაობისა ინგლისში, რევოლიუციათა მთელი რიგი, რომელთაც ქონდა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, რომლებიც მოახდინა საფრანგეთის პროლეტარიატმა და გმირული ბრძოლა სოციალისტების წინაალმდეგ მიმართულ კანონის გასაუქმებლათ გერმანიაში და მთელი ქვეყნის მუშებისათვის სამაგალითო, ხანგრძლივი, გაწვრთვნილი მუშაობა გერმანიის მასიურ პროლეტარულ ორგანიზაციების შექმნისათვის, ყველა ეს მაგალითები პროლეტარული გმირობისა და ისტორიული შემოქმედებისა თავდებია იმის, რომ აღნიშნულ ქვეყნების მუშები შეიგნებენ, რომ ახლა მათ აწევს მოვალეობა დაიხსნას კაცობრიობა ომის საშინელებისა და მისი შედეგებისაგან, რომ ეს მუშები ყოველ მხრივი, გადამჭრელი და თავდადებული ენერგიული მოქმედებით მოგვეხმარებიან ჩვენ წარმატებით დავაბოლოვოთ ზავის საქმე და ამითვე საქმე მშრომელთა და მცხოვრებლების გაყვლეფილ მასის განთავისუფლებისა ყოველგვარი მონობის და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

---

# ძალა-უფლებას მარტო ჩვენ ვიღებთ.

მუშათა და გლეხთა რევოლიუციამ სწორეთ იმ ისტორიულ მომენტში დაამხო მოღალატე მთავრობა, როცა პეტროგრადში საბჭოთა სიეზდი შედგა, რომელსაც მთავარი ძირითადი საკითხის—ძალა უფლების—გადაჭრა ჰქონდა მიზნათ დასახული. სრულიათ რუსეთის საბჭოთა სიეზდს არ დასჭირდებოდა დიდხანს ბჭობა იმაზე, თუ როგორია „მიმდინარე მომენტი". ამ მომენტის შესახებ უკვე აღნიშნულ—განსაზღვრული იყო რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის დიდი უმრავლესობის ნება-სურვილი. თითქმის სრულიათ დაუბრკოლებლათ გახდა პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო სრული პატრონ-მბრძანებელი მდგომარეობისა.

და ეს ფაქტი მოწმობს იმას, თუ რამდენათ სუსტი აღმოჩნდა ის სოციალური საფუძველი, რომლის იმედი დროებით მთავრობას ჰქონდა და რომელსაც ის ემყარებოდა. და თუ კერენსკის მთავრობა თავის „კანონიერ" პრეტენზიებს ძალა-უფლებაზე, თითქო იგი გამომხატველი იყო ხალხის უმრავლესობის ნება სურვილისა, თებერვლის რევოლიუციით ასაბუთებდა, მაშინ სრულიათ რუსეთის

საბჭოთა სიეზდს სრული უფლება აქვს თქვას, რომ ის თავის ძალა-უფლების წყაროს ოქტომბრის რევოლიუციაში პოულობს.

თითქო საიმედოთ სჩანდა, რომ ახლანდელ პირობებში მუდამ რყევაში მყოფი, მუდამ კომპრომისებისა და მოლაპარაკებისაკენ მიდრეკილი თავისი ბუნებით წვრილი ბურჟუაზია გონს მოვიდოდა და ერთხელ და სამუდამოთ უარყოფდა მქონებელ კლასებთან კავშირს, და კოალიციის პოლიტიკას ბოლოს მოუღებდა: აღადგენდა რევოლიუციონური ფრონტის იმ სანეტარო ერთობას, რაიცა ისე საჭირო იყო რუსეთის რევოლიუციით მოპოვებულ უფლებების გასამტკიცებლათ.

მარა, თუ ბბ. ლიბერებმა, დანებმა და გოცებმა თვეების განმავლობაში მსხვილი ბურჟუაზიის პარტიასთან თანამშრომლობა არხეინათ შესძლეს, რატომ წვრილ ბურჟუაზიას არ უნდა შესძლებოდა თანამშრომლობა პროლეტარიატის პარტიისა და მის მიმყოლ ულარიბეს გლეხკაცობასთან, რომლებსაც ოქტომბრის რევოლიუციამ საშუალება მისცა ძალა უფლება დაეპყრო?

ვთქვათ, აჯანყების წინა დღით შედრკენ, რადგან ღარიბი ხალხის მძიმე ბრძოლისთვის იურიდიულათ პასუხის მგებელი ხდებოდენ, მარა აჯანყების პეტროგრადში გამარჯვების შემდეგ მათ შეეძლოთ პასუხის მგებლობა ჩვენ პარტიასთან გაენაწილებიათ და მით ძალა-უფლების მშობიარობის ტკივილები ნამდვილ მუშური და გლეხური დემოკრატიისათვის შეემსუბუქებიათ.

ჩვენ სულ-მდაბალთაგან და მშიშარებისგან გმირობას არას ოდეს არ მოველოდით, მათგან გადამწყვეტ-გაბედულ ბრძოლის გაწევა, რაც უდიდეს რისკსაც კი სძლევს ხოლმე, არასოდეს არა გვწამდა, ჩვენ ლიბერის შუბლზე რობესპიერის გმირობისა და ტრაგიზმის სიდიადის ბეჭედი არასოდეს არ შეგვინიშნავს; მაგრამ მათზე ნაკლებ გამოცდილებს და გულმართალთ პოლიტიკაში უბრალო დემოკრატიული რიგიანობა მაინც კი მოეთხოვებათ, მათ ის მაინც უნდა ეფიქრათ, რომ, როცა პეტროგრადის პროლეტარიატი და ჯარი თავისი მკლავითა და სისხლით პროლეტარულ-გლეხურ რესპუბლიკას დაამყარებს, მაშინ ეს ბატონები ასპარეზიდგან გაქრებიან და ისინი ველარ გაბედვენ, რომ ხელი შეუშალონ რითიმე იმ მეტათ მძიმე მუშაობას ჩვენი პარტიისას, რომელიც დღევანდელ მომენტში იწყება.

მათი რვათვის განმავლობაში ბატონობა-თარეშის შედეგათ ჩვენ ხელთ გვრჩება მათგან ამ რევოლიუციის დროს, არა ქვეყანა, მხარე, არამედ მხოლოთ გაპარტახებული მიდამო, სადაც გაქიანურებული საშინელი ომის პოლიტიკის წყალობით ყველაფერი სრულიათ გატიალებულია, რომლის ცხოვრება სავსებით გაკოტრებულია, სადაც ტრანსპორტი მოშლილი, მშიერთა დაუსრულებელი კუდები ყველგან გახშირებულია, უმუშევრობა მძვინვარებს, სათბობი მასალა აღარ მოიძებნება, შიშველ-ტიტველი ხალხი ქუჩებში დაძრწის და ჯარის კაცნი მშიერ მწყურვალნი სასოებას კარგავენ, აი რას გვიტოვებენ ისინი და იმავე დროს მეფისტოფელივით დაცინვის კილოზე ლაპარაკობენ და განზე გამდგარნი ჩვენგან საქმეებს ელიან. ცხადია პროლეტარიატის პარტიას დღეს საბოტაჟი მოელის არა მარტო მრეწველთა მხრიდან, არამედ სულმდაბალ მშიშარა, გამცემ წვრილ ბურჟუაზიისგან ც.

მათ უნდათ, რომ ძალა-უფლება მარტო ჩვენ ავიღოთ ხელთ, რომ ყველა იმ საშინელ დაბრკოლებებს მარტო ჩვენ გაუმკლავდეთ, გაუსწორდეთ, რომლებიც დღეს ჩვენს ქვეყანას დედამიწის პირიდან აღგვას უქადიან.

ესერ-მენშევიკების ბლოკი დღეს ერთი დამაბრკოლებელ მიზეზთაგანი გამხდარა რევოლიუციონურ პროლეტარულ პროგრამის განხორციელების წინაამდეგ.

რა გაეწყობა, ჩვენ ვიღებთ ხელთ მარტოთ მარტო მთელ ძალა-უფლებას, ვიღებთ და ვამყარებთ ჩვენი ქვეყნის ხმას, ხმას ხალხისას, ერისას, და ვიმედოვნებთ, რომ მთელი ევროპის პროლეტარიატი შედგრათ მხარს დაგვიჭერს.

მაგრამ, ავიღებთ რა ძალა-უფლებას ხელთ, ჩვენ რკინის ჯაჭვით შევბოჭავთ რევოლიუციის იმ მტრებსაც კი, რომლებიც დღეს სხვებთან ერთათ ყოველნაირათ ცდილობენ ხელი შეგვიშალონ. ისინი კორნილოვის დიქტატურაზე, მის მიერ აღდგენილ წესიერებაზე ოცნებობდენ, ხოლო ჩვენ კი მათ პროლეტარიატის დიქტატურას და რევოლიუციონურ წესიერებას მივანიჭებთ. ახალი რევოლიუციონური მთავრობა ერთი წუთითაც არ შედრკება და არც არავის მისცემს ნებას რყევისას; მხოლოთ მას ერთათ ერთს ძალუძს, როგორც მთელი ხალხის ინტერესების გამომხატველს, რომ ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე მიიყვანოს.

# უკანასკნელი ცნობები

**ხალხის კომისართა საბჭო**

სრულიათ რუსეთის სიეზდმა მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატებისამ დაადგინა:

დამფუძნებელ კრების მოწვევამდე შექმნას დროებითი მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელსაც ერქმევა სახალხო კომისარების საბჭო.

სახელმწიფოს სხვადასხვა დარგების მართვა-გამგეობა ევალება კომისიებს. რომელთა შემადგენლობამ უზრუნველ უნდა ყოს სიეზდის მიერ აღიარებულ პროგრამის ცხოვრებაში გატარება, მუშათა, მატროსთა, სალდათთა, გლეხთა და მოსამსახურეებთან მჭიდრო შეთანხმებით. მართვა გამგეობის ძალა-უფლება ამ კამისიების თავმჯდომარეთა კოლეგიას, ე. ი. ხალხის კომისართა საბჭოს ეკუთვნის.

ხალხის კომისარების მოქმედების კონტროლის და მათი ადგილიდან გადაყენების უფლება ეკუთვნის სრულიათ რუსეთის მუშათა, გლეხთა და სალდათთა დეპუტატების საბჭოთა სიეზდს და მის ცენტრალურ აღმ სრულებელ კომიტეტს.

ამ ჟამათ ხალხის კომისართა საბჭო შესდგება შემდეგი პირებისაგან:

საბჭოს თავმჯდომარე — **ვლადიმერ ულიანოვი** (ლენინი).

ხალხის კომისარი შინაგან საქმეთა — **ა. ი. რიკოვი.**

მიწათ-მოქმედებისა **ვ. პ. მილიუტინი.**

შრომ სა — **ა. გ. შლიაპნიკოვი**

სამხედრო და ზღვათა საქმეებისა — კომიტეტი, რომელიც შემდგარია: **ვ. ა. ოვსეენკოვისა** (ანტონოვისა), **ნ. ვ. კრილენკოსა და დიბენკოსაგან.**

ვაჭრობა მრეწველობისა — **ვ. პ. ნაგინი.**

სახალხო განათლებისა — **ა. ვ. ლუნაჩარსკი.**

ფინანსთა — **ნ. ი, სკვორცოვი** (სტეფანოვი).

გარეშე საქმეთა — **ლ. დ. ბრონშტეინი** (ტროცკი).

იუსტიციისა — **გ. ი. ოპაკოვი** (ლომოვი).

სასურსათო საქმეთა **გ. ი. ოპაკოვი** (ლომოვი.)

სასურსათო საქმეთა — **ი. ა. ფეოდოროვიჩი.**

ფოსტისა და ტელეგრაფისა — **ნ. პ. ავილოვი** (გლებოვი)

თავმჯდომარეთ ნაციათა საქმეების სამართველოსი — **ი. ბ ჯუღაშვილი.** (სტალინი).

რკინის გზათა საქმეების სახალხო კომისარის პოსტი ჯერჯერობით დაკავებული არა არის.

**საბჭოთა სიეზდი.**

ზღვებიდან საბჭოთა სიეზდზე წარმოდგენილი იყო 40 დელეგატი. სუყველას აქვს ნაკაზები. ბალტიის და შავი ზღვის წარმომადგენლებს ნაკაზი აქვთ მოითხოვონ მთელი ძალა — უფლების საბჭოების ხელში გადასვლა.

**სიკვდილ თ სასჯელის გაუქმება**

საბჭოთა მთელი რუსეთის მეორე სიეზდმა დაადგინა: კერენსკის მიერ ფრონტზე აღდგენილი სიკვდილით სასჯელი ისპობა.

აღდგენილ იქნას ფრონტზე აგიტაციის სრული თავისუფლება. ყველა სალდათები და რევოლიუციონერები, რომლებიც დატუსაღებული არიან ეგრეთ წოდებულ დანაშაულობათათვის, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ უნდა იქნან.

# პრესა.

„ერთობა“ (№ 187) სწერს.

„პეტროგრადის რევოლიუციონურ ორგანოების გამოსვლას უმთავრესათ ჯარები უჭერენ მხარს. მას ენთუზიაზმით და აქტიურ დახმარებას უწევს არა მარტო პეტროგრადის საგარნიზონო ჯარი, არამედ ფრონტზე მყოფი არმია ფლოტის მატროსები და ზურგს უკან მყოფი სხვა და სხვა კამანდები.

ეს არც რევოლიუციაა, არც აჯანყება — იგი მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო შეთქმულობაა. ბალშევიკები, რომლებიც ქვეყანას არწმუნებენ, თითქოს მათ გამოსვლას მხარს უჭერს და ზურგს უმაგრებს მთელი შეგნებული პროლეტარიატი მუშათა კლასის ავანგარდი — მტკნარი სიცრუე გამოდგა, თვით პეტროგრადის პროლეტარიატი მათ გამოსვლაში მონაწილეობას არ ღებულობს და გამოსვლებისადმი აპატიას იჩენს, ტრამვაები მუშაობდენ, პეტროგრადის ცხოვრების ჩვეულებრივი სახე არ დაკარგვია — და სხვა.

წვრილ-ბურჟუაზიული „ერთობა.“ თავის ბუნებას და დანიშნულებას არ ღალატობს. მისი ბუნება: მუდამ რყევა, მუდამ ორ სკამზე ჯდომა, მუდამ თვალთ მაქცობა. მისი დანიშნულება: ბრძოლა ახალ რევოლიუციასთან, მისი სახელის გატეხა, მაზე კონტრ რევოლიუციონური ჭორების გავრცელება, რატომ? იმიტომ რომ მთელი ეს სახელმწიფო გადატრიალება ამ რევოლიუციის ძლევა მოსილება ბალშევიკური დროშის ქვეშ ხდება და მენშევიკურ-ესერულ-ობორონცული პარტიები ამ უდიდეს ისტორიულ ხანაში სრულიად გარიყული და ჰაერში გამოკიდებული დარჩენ. მათი მდგომარეობა ჭეშმარიტათ ტრაგი — კომიკურია; რევოლიუციას ვერც ეურთდებიან, ვერც ომს უცხადებენ, ცდილობენ არც მწვადი დაწვან არც შამფური, ვინაიდან კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ეშინიათ და ეხათრებათ.

„ერთობის“ პოზიცია დღეში ასჯერ იცვლება: პირველათ, გადატრიალების შემდეგ ხულიგანურ პრესასთან ხმა შეწყობილებულმა გაავრცელა ხმები, — რომ პეტროგრადში არავითარი გადატრიალება არ მომხდარა, მოხდა პატარა ბალშევიკური ჯგუფის ბუნტი. რომელიც მალე ჩაქრებაო და მოუწოდებდა ხალხს სიწყნარე-ნეიტრალიტეტი დაეცვა და დამხობილი კერენსკის მთავრობისთვის ზურგი არ შეექცია.

შემდეგ იგივე „ერთობა“ საჯაროთ აცხადებს, რომ ბალშევიკების ავანტიურა ბუნტი ჩაქრა, რაც ჩვენ თავიდანვე ვიწინას-წარმეტყველეთო.

ამ განცხადების მეორე-მესამე დღეს კი იგივე „ერთობა“ გაუწითლებლათ აცხადებს, რომ ნაადრევი გამოდგა ჩვენი პროგნოზი (წინასწარმეტყველება) პეტროგრადის მოძრაობის ჩაქრობის შესახებ, ვინაიდან მოძრაობა თანდათან მაგრდება, ღრმავდება, მწვავდება, და მთელ რუსეთს ედებაო!

ახლა გამომდგარა იგივე „ერთობა“ და წარბ შეუხრელათ აცხადებს: ეს მოძრაობა რევოლიუცია კი არა, არამედ მხოლოთ ჯარის უბრალო ბუნტი — შეთქმულებაა, რომელშიაც პროლეტარიატი (პეტროგრადისაც კი!) არავითარ მონაწილეობას არ იღებს!

რა არის ეს, მტკნარი უვიცობა, გაუგებრობა თუ შეგნებული ტყუილი? ჩვენ ვამბობთ: უკანასკნელი. ვინაიდან 2 ნოემბრის მუშათა სექციის კრებაზე თვით ნ. ჟორდანია მაც კი საჯაროთ აღიარა, რომ პეტროგრადის გადატრიალება პროლეტარიატის და გარნიზონის ხელიხელ ჩაკიდებული, მჭიდროთ შეკავშირებული მოქმედებაა, — სადაც ხელმძღვანელ როლს უეჭველათ პირველი (პროლეტარიატი) თამაშობსო.

ვინაა მართალი? ჩვენ ვამბობთ: ნ. ჟორდანიის ბაგენი ლაპარაკობენ ჭეშმარიტებას, „ერთობის“ მაიატნიკები კი — ტყუილს.

„ტრამვაები მუშაობდენ, პეტროგრადის ცხოვრებას ჩვეულებრივი სახე არ დაჰკარგვიაო!“

საქმეც იმაშია, სწორუპოვარო სოციალისტებო, რომ გადატრიალება მწყობრათ ჩატარდა და არავითარ ექსცესებს და ანარქიას ადგილი არ ჰქონდა. ეს მოწმობს იმას, რომ მოძრაობას აზის შეგნების, პლანის, სისტემის ბეჭედი, რაც იძლევა ურყევ გარანტიას მისი საბოლოო გამარჯვებისას.

ნუთუ ეს ძნელი ფილოსოფიაა? ესეც ძნელია მხოლოთ წყალ — წყალა სოციალისტებისთვის, როგორიც „ერთობელები“ არიან. ნამდვილ მარქსისტისთვის ეს ანბანური ჭეშმარიტებაა.

# ბაირალი ააფრიალეს.

(პეტროგრადის პროლეტარიატის აჯანყების წინა დღის საზოგადოებრივ სულის განწყობილების დას ხასიათებლათ მოგვყავს გაზ. „რაბოჩი პუტის“ 22 ოქტომბრის მეთაური).

წინასწარ-პარლამენტში კორნილოვის ბაირალი გამოკიდეს. გუშინ იქ გენ. ალექსეევის, ამ კორნილოვის მარჯვენა ხელის და რუსეთის ჯარებისთვის საზიზღარ სახელის პატივსაცემათ ოვაციები გამართეს და კრების მემარჯვენე ნაწილი კონტრ-რევოლიუციის თვით ფელდმარშლის სახელის ხსენებას ზარით და ზეიმით შეხვდა. „ჩვენ, — სთქვა კადეტე-

ბის ორატორმა სტრუვემ,—კორნილოვის სახელი უშწიკვლოთ მიგვაჩნია, რაც უნდა სთქვან მაზე, და ამ პატიოსანი ადამიანის სახელს ჩვენს სიცოცხლეს შევსწირავთ". და ამ განცხადებას ალტაცებით დაუკრეს მხარი: კადეტებმა, ვაჭარ-მრეწველებმა, კაზაკებმა და კოოპერატორებმა.

„ჩვენ ქუჩებზე უნდა გავიდეთო",— სთქვა ამასწინათ მოსკოვის კორნილოველების თათბირზე გენ. ბრუსილოვმა,— „ჩვენ მზათ ვართ საქვეყნოთ ალვიაროთ, რომ კონტრ-რევოლიუციონერები ვართ", დაუმატა ზემოთქმულს ერთმა მათმა ამხანაგთაგანმა. და მართლაც კონტრ-რევოლიუცია ახლა აღარ იმალება, თავს მხნეთ გრძნობს და თავისთავის აღარ რცხვენიათ. კონტრ-რევოლიუცია ქუჩაზე ახლა აშკარათ გამოდის.

გაზეთ „რეჩში" თავის დროზე მეთაურის ალაგას თეთრი სვეტები იყო დატოვებული, ვინაიდან მაშინ კადეტების ორგანომ აშკარათ ვერ გაბედა ალიარება იმისა, რომ იგი კორნილოვის თანამოაზრე იყო. ახლა ეს ცარიელი ადგილი წინასწარ-პარლამენტის ზემოხსენებული ორატორის სიტყვებმა შეავსო.

და სწორეთ იმ დროს, როცა მარიამის სასახლეში გამხნევებული მომარეები იმის, რომ მებატონეთა და კაპიტალისტთა მონური უღლის წინააღმდეგ აჯანყებული ხალხი სისხლის მორევში მოალრჩონ, მქუხარე ტაშისცემით და ოვაციით ეგებებიან რევოლიუციის წინააღმდეგ შეთქმულთა ერთი ბელადის აჩრდილის მოჩვენებასაც კი, სწორეთ ამ დროს ქალაქ ტაშკენტში მუშ. და სალდ. ადგილობრივ საბჭოს დეპუტატებს ატუსაღებენ, ხოლო კალუგაში, სრულიად მოულოდნელად, თითქო მიწიდან ამოძვრენო, კაზაკების და დრაგუნების რაზმი, რომელსაც ჯავშნიანი ავტომობილებიც თან ახლავს, საბჭოს ხურავს და აღმასრულებელ კომიტეტს ატუსაღებს.

რას გვიქადის კალუგის ამბები? ჩვენ ჯერ კიდევ ხელთ არა გვაქვს „მასალები", რომლითაც ამ ამბების ახსნა-გამოცნობა შეიძლებოდეს. მაგრამ ჩვენ მტკიცეთ გვწამს, რომ თუ პეტროგრადიდან რევოლიუციონური გარნიზონის გაყვანის პლანი განხორციელდებოდა, მაშინ კონტრ-რევოლიუციისათვის სრულიათ შესაძლო გახდებოდა დაუყონებლივ განეხორციელებია თავისი ოცნება, პეტროგრადის საბჭოსაც ისე გაუსწორდებოდა, როგორც ის კალუგისა და ტაშკენტის საბჭოებს გაუსწორდა!

გენ. კორნილოვი ახლა დროებით „ბიხოვის" ციხეში, სადაც მას გარს ახვევია მისი ერთგული ტეკინელები და პოლონელი ლეგიონები. კორნილოვის მომხრე ოფიცრები კიდევ ჯარში მოქმედებას ისევ განაგრძობენ. კალედინი კონტრ-რევოლიუციის რაზმავს შინ; როძიანკო და რიაბუშინსკი მოსკოვში „მოღვაწეობენ", ხოლო კადეტები კიშკინთან და სხვა კადეტ მინისტრებთან ერთათ პეტროგრადში მოქმედებენ.

რა დროსაც უნდათ, კორნილოვს, გინკალედინს, იმ წუთში, შეუძლიათ მოძრაობას სათავეში მოექცნენ; კალედინს, მაგალითად, ყოველ წამს შეუძლია მოსკოვსაც და პეტროგრადსაც ნახშირი და პური მოუსპოს, ყოველ წამს შეუძლიათ მათ როძიანკოების მხარის დაჭერით მოსკოვში, ხოლო პეტროგრადში კიშკინების—წარუდგინონ კერენსკის, ამ ქუჩის სალახანა ბონაპარტისტს, თავისი მოთხოვნები და მასთან ერთათ, ან უმისოთაც გადამწყვეტი ბრძოლა გამოაცხადონ; მოუთმენლათ მოელის „მოკავშირეთა" კაპიტალი ბურჟუსა და კადეტებს ელჩების სახით, რომლებმაც მოლაპარაკება გამართეს კონტრ-რევოლიუციონერებთან და გადაპკრით ურის უთხრეს „კეთილმოსურნეს", რომლებიც წინადადებას იძლეოდენ გადესინჯათ „ომის მიზნები".

და რატომღაც უარი უნდა ეთქვა კონტრ-რევოლიუციას გადამჭრელი ბრძოლის დაწყებაზე? ვითამდა იმიტომ, რომ დამფუძნებელი კრება მოახლოვებული იყო? და სწორეთ იმიტომ, რომ ის მოახლოვდა, ბურჟუაზიისა და მემამულეთა კოალიცია მზათ არის საბოლოოთ გადამჭრელი ბრძოლა გამართონ. კიდევ მეტი შიმშილი და უმუშავრობა, რასაც ისე გულმოდგინეთ ხელს უწყობენ რიაბუშინსკები, კიდევ მეტი კალედინის რაზმების გამრავლება, კიდევ მეტი სასოწარკვეთილების გაღვივება ისედაც დაუძლურებულ ჯარში და ყველა საბუთები და საფუძვლები მათ იმედს აძლევს, რომ როძიანკო-კალედინის ლაშქარი გაიმარჯვებს.

რევოლიუციის სვე-ბედი ხელთ უპყრია მის მტრებს! ვინაიდან დღეს მთელი ძალა-უფლება მათ ხელშია! მთავრობა, როგორც აშკარა, მით უფრო ფარულიც ხალხის წინააღმდეგ შეთქმულთა მხარეზე დგას. ასეთი მდგომარეობის ატანა და მოთმენა, ეს იმას გავს, რომ სასიკვდილოთ განწირულ მსხვერპლივით, დამშვიდებული შეჰყურებდე იმას, თუ როგორ გრეხენ და ამზადებენ გასაბმელ თოკის მარყუჟს.

კორნილოვის ბაირაღი აფრიალეს. ბატონი ბურჟუები აცხადებენ, რომ „მზათ არიან მას სიცოცხლე შესწირონ". მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბატონი ბურჟუები არასოდეს თავის ძვირფას ტყავს სახიფათოთ არ გახდიან; ისინი ხომ მუდამ „სხვისი ხელებით მუშაობენ". ისინი ახლაც ეცდებიან კორნილოვის ბანაკში საომრათ ბნელი და გზა ამცდარი ადამიანები ბლომათ გაგზავნონ, მაგალითათ თუ ინგუშები არა, გზა დაბნეული კაზაკები მაინც, ან და ბურჟუაზიისა და ესერებ-მენშევიკების პროვოკატორების წაქისიანებით გზა-გადამცდარი სალდათებიც მოიძებნებიან.

მაგრამ მუშებსა და სალდათებს კმაყოფილებით შეუძლიათ სთქვან: ჩვენ დროზე მივიღეთ საჭირო ზომები და ბატონი ბურჟუები ჩვენს რაზმებს მოულოდნელი თავდ სხმით ვეღარ არევენ. ნახევარ კორნილოველების ხრიკებს და კორნილოველების შეთქმულებას ჩვენ მედგრათ შევხვდებით და საკადრისს პასუხსაც გავცემთ!

# პარტიის ცხოვრებიდან.

ანჯარიში.

გურიის სხვა და სხვა ადგილებში (6 ალაგას) წავიკითხე საჯარო ლექცია შემდეგ თემებზე. „ომი და რევოლიუცია და ორი ტაქტიკა რუსეთის რევოლიუციაში". ექვს ლექციაში 5 იყო ფასიანი, ერთი უფასო, ყველა ლექციზე საერთოდ დაესწრო 2000 მსმენელი. თვითეულ ლექციაზე დაესწრო 150—400 (ლექციებს წმინდა შემოსავალი დარჩა 454 მ. 70 კ.)

ლექციას ყოველგან მოყვა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბალშევიკებმა, მენშევიკებმა და ფედერალისტებმა. ცოტათ თუ ბევრათ სერიოზული დისკუსია გაიმართა ოზურგეთ—ხიდისთავში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დღევანდელ მენშევიზმ ბალშევიზმის კითხვაში არა თუ მასა, არამედ სუსტობენ მოთავენიც კი. დისკუსია ცოტა თუ ბევრათ ნორმალურათ ჩატარდა ყველგან, გარდა ს. ასკანისა, სადაც მენშევიკ—„ხელმძღვანელების" („გაყინულების") წყალობით ფასიანი ლექცია უფასოთ შეიცვალა და დისკუსიის დროს იმავე „კაზიონებმა" ობსტრუქციის (ხმაურობის) საშვალებით კრების ჩაშლა მოინდომეს, მარა მიზანს ოდნავ ვერ მიაღწიეს. რამდენიმე ალაგას წავიკითხე შვიდი მოხსენება დღევანდელ მომენტზე, რასაც თითქმის ყოველგან მოყვა დისკუსია, ინტერნაციონალისტური ჯგუფების დაარსება. ორჯერ ოპონენტათ (მოკამათე) მომიხდა გამოსვლა ფედერალისტების და ნაციონალ-დემოკრატების წინააღმდეგ, უკანასკნელებთან მენშევიკური ორგანიზაციის და ოფიციალურ დავალებით. ერთხელ მოხერხდა მოხსენების წაკითხვა მენშევიკურ პარტიულ კრებაზე, რასაც მოყვა კამათი. საერთოდ მეკი „ხელმძღვანელები" ერთობ გაურბიან ასეთ დისკუსიას ფართო პარტიულ წრეში. ორჯერ მომიხდა სააგიტაციოთ გამოსვლა მიტინგებზე (ერთ მათგანზე ლანჩხუთში 3000 4000 კაცი დაესწრო), სადაც ხალხი დიდი ხალისით და ინტერესით შეიგნებს ჩვენ პოზიციას.

დღევანდლამდე მოწყობილია ბალშევიკური ჯგუფები: ს. ერკეთში, დ. ჩოხატაურში, ს. ხიდისთავში, ს. ასკანაში, ქ. ლანჩხუთში, ოზურგეთში შედგება მალე.

თ. ქ.

# პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

ს. ბუკის ციხე (გურია). ერთი თვის თფილისში ყოფნის დროს რამდენიმე წერილი მოვათავსე გაზ. „ბრძოლაში", რის შემდეგ ადგილობრივი პარტიული ამხანაგები (მენშ. ორგანიზ. წევრები) ძლიერ გულცივათ ირონიულის შეკითხვებით და არაჩვეულებრივი ინდიფერენტიზმით შემხვდენ, სწორეთ ამ წერილების დაწერისთვის. საქმე იმაშია, რომ მათ ნ. ჟორდანიასა და კაკი წერეთლის „შეკრიტიკეთი" ანუ მლანძღველათ მიუჩნევივარ. აქ, ამხანაგებო, გაუგებრობაა. თქვენ დაწერილის გაგება არ შეგძლებიათ და პოლიტიკასთანაც მწყრალათ ყოფილხართ, თვარა არ იფიქრებდით, რომ უბრალო მარქსისტს ლიდერებზე ენა არ შეუძლია ამოიღოს; აქ „კრიტიკა" კი არ არის, როგორც ეს თქვენ მოგჩვენებიათ, არამედ თანაგრძნობა იმ მიმართულებისადმი, რომელმაც თავი იჩინა მენშევიკთა „გაერთიანებულ" პარტიაში. მივხედოთ ფაქტებს.

მე ვწერდი, რომ დიდი ღვაწლი მიუძღვით ირ. წერეთელს და ნოე ჟორდანიას პროლეტარიატისა და მთელი დემოკრატიის საკეთილდღეოთ, მაგრამ მათ ჩაიდინეს დიდი შეცდომები პროლეტარიატის საზარალოთ მეთქი. ნოე ჟორდანიას უკანასკნელ მოხსენებაში პარტიულ სიეზდზე ვკითხულობთ შემდეგს: „უნდა გავამარჯვოთ ჩვენი პოლიტიკური მოქმედების ხაზი, რომ არ გავითქვიფოთ საერთო დემოკრატიულ მასაში და მეორეს მხრით მივიყვანოთ რევოლიუცია სრულ გამარჯვებამდე" სჩანს მრუდე ყოფილა, რომ „გამომარჯვება" შეიქნა საჭირო. საჭირო შეიქნა ეს კი ყველა სოციალისტურ პარტიის სანატრელ მიზნისთვის „რევოლიუციის სრულ გამარჯვებისთვის. აშკარაა—ყოფილა შეცდომა დიდზე უდიდესი და რადგანაც ეს შეცდომა ს. დ. პარტიის ლიდერებს ჩაუდენიათ ე. ი. ვერ უწერობიათ პროლეტარიატისათვის საჭირო პოლიტიკა, ცხადია პროლეტარიატს ზარალი უნახავს. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ცხელი „ობორონცები" ლ—კოსიხ—ძის მეთაურობით, ნ. ჟორდანიას აღარ ეთანხმებიან ირ. წერეთლის თფილისში ჩამოსვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც წერეთელმა „ტყავი გაძრო" (მათი სიტყვებია) ჟორდანიას საოლქო კომიტეტისა და კოლექტივების წევრთა საერთო კრებაზედ. ჩვენ „ობორონცებს" მოჩვენებია, რომ დამსწრეთა უმრავლესობის თანაგრძნობა წერეთლისთვის გამოუცხადებია; ამას იმით „ასაბუთებენ", რომ წერეთლის სიტყვის დასრულების შემდეგ სწერია ფრჩხილებში „ცხარე ტაში და ოვაციები". ნ. ჟორდანიასთვის ტაში არავის დაუკრავსო („ერთობის" ანგარიშებიდან ხელმძღვანელობენ) ეს რომ ასე იყოს, მათ საოლქო კომ. და კოლექტივის წევრობა კი არ ეკუთვნით არამედ ს.-დ. პარტიაშიც პირველათ შესვლა და მისი პროგრამის გაცნობა. თქვენ ამით მათ დიდ სამსახურს უწევთ, ასე გამოდის წერეთლის მჭერმეტყველობამ ყველას აზრები შეაცვლევინა; როგორც ვიცით, ნ. ჟორდანიას რეზოლიუციები უკანასკნელათ ერთფეროვან მთავრობის შესახებ ერთხმათ გადიოდა, წერეთელი კი დღესაც კადეტებს „ცოცხალ ძალათ" თვლის ვითომც მათ ლიდერს არ ეთქვას „Красное знамя тряпка подъ моими ногами"-ო.

რაც შეეხება იმის მტკიცებას თქვენ მიერ, რომ მე ზნეობრივი უფლება არ მქონდა არც ქალა შემწვდა მათ შეცდომებზე ლაპარაკის, უნდა მოგახსენოთ ამაზედ შემდეგი: როდესაც მენშევიკურ პარტიაში ორმა მთავარმა მიმართულებამ იჩინა თავი—ინტერნაციონალურმა და „ობორონცულმა", მე საჭიროთ დავინახე პირველის გაძლიერება რევოლიუციის გასამარჯვებლათ და ჩემ მისალმი თანაგრძნობაში მოწინააღმდეგე ფრაქციის შეცდომები აღვნიშნე ისე როგორც ეს მე მესმოდა. „ნოვაია ჟიზნმა", რომლის პასუხისმგებელ რედაქტორებათ არიან მაქსიმე გორკი, ნიკ. სუხანოვი, სტროევი და სხვა არა ერთხელ მოწინავე წერილებში განაცხადა, რომ ჩვენ უფრო მეტი გვაქვს საერთო ბალშევიკებთან ვიდრე—ობორონც მენშევიკებთანო და თუ მივიღებთ იმ ფაქტსაც სახეში, რომ ცნობილმა მარქსისტებმა მარტოვ-მარტინოვმა, წერეთელთან ერთ სიაში თავის მოქცევა სასირცხოთ დაინახეს და ინტერნაციონალის ღალატათ მიიჩნიეს, როგორც ეს მოხდა ცენტრალურ დუმის არჩევნებში პეტროგრადში, სადაც ინტერნაციონალისტები ცალკე სიით გამოვიდენ, რის გამო კ. ჩხეიძე იძულებული შექნა თავისი კანდიდატურა მოეხსნა. ცნობილ ს.-დ. მენშევიკის მ. ლურიეს გაბალშევიკება, რუსეთის პროლეტარიატის 80 პროც. მარცხნით წასვლა და სხვა მრავალი მაგალითები, როგორიცაა: ყველა გაჭირების დროს კადეტების მიერ ს მინისტროდან გაქცევა—დეზერტირობა, „კორნილოვშჩინა" და სხვა. ყველა ამან ჩემზედ შესაფერი გავლენა მოახდინა და ჩემი მრწამსი საჯაროთ ვაღიარე.

მე ხომ რენეგატი არ ვარ, რომ ამრეზილათ დამეწყოთ ყურება, ვით გომართელტოროტაძეს, მარქზისმს რომ უფრო დავახლოვებოდი, მარცხნით წავედი. თუ მაინც ვერ შეიგებიხართ თქვენ იმ აზრს, რომ მე ლიდერთა წინააღმდეგ, ხმის ამოღება „გავბედე", მოგახსენებთ რომ ამის მთქმელი სოფ. ბუკის-ციხეს არ გასცილებია და ერთობის მეტი არაფერი უნახავს და წაუკითხავს, აურაბელი მაგალითი შემეძლო მომეყვანა, რომ

სულ უბრალო პიროვნებანი შებმიან თავიანთ ლიდერებს და სასტიკათ გაუკიცხავთ მათი ესა თუ ის შემცთარი ნაბიჯები. მაგრამ მათ ისინი ცოდვილ შვილებათ არ გამოუცხადებიათ როგორც ეს თქვენ ჩაიდინეთ. უკანასკნელ მენშ. პარტიულ სიეზდზე ვ. ჯუღელმა განაცხადა, რომ „წერეთელის პოლიტიკა გაკოტრდა, წერეთელი პროლეტარიატის ლიდერი აღარარის, ის წვრილ ბურჟუაზიის ლიდერი შეიქნავო, მის პოლიტიკას ბოლო უნდა მოეღოსო, მაგრამ მისთვის არავის უთქვამს, როგორ შებედე შენ წერეთელს მაგის თქმაო, საოლქო კომიტეტშიაც კი აირჩიეს. ასეთივე თითქმის აზრი გაატარა მუშა ნესტორ ცერცვაძემ და სხვამა თქვენმა სიტყვებმა უკვე ნაყოფი მოიტანა, ბესოგ. ძემ ფედერალისტი მიწოდა, რაკი გაიგო თქვენგან, რომ მე ჟორდანიასა და წერეთელს „ვლანძლავდი“.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ სოციალ-დემოკრატებს არ შეშვენის იმის მტკიცება, თითქოს ყველა ბალშევიკების მიმდევრები ბრბოსა და ჟანდარმებისგან შესდგებოდეს და მათი მეთაურნი არა საიმედო პიროვნებანი იყვნენ, რუსეთში ამას სუვორინები გაიძახიან, ჩვენში ასეთ საშვალებას „ივერიელები“ ხმარობდენ მესამე დასელებისა და მათ მეთაურთა წინააღმდეგ. ორი წლის წინ ერთმა ნაციონალისტურმა (ეხლა მენშევიკებთან ინტერპარტიულ საბჭოში დაკავშირებულებმა) ჟურნალმა 905 წლის რევოლიუციის მეთაურებს ჩვენში მთელ სოციალ-დემოკრატიას „პოლიტიკური ტურები“ უწოდა. მაგრამ ამით მესამე დასს არარა დაკლებია, ამ შემთხვევაშიაც თქვენი დემაგოგიური იერიშები მიზანს ვერ მიახწევს.

ლაფარგის თქმის არ იყოს, კამათი მაშინ დაიწყეთ ამხანაგებო, როდესაც საკითხი ნათლათ და გარკვევით გექნესთ შესწავლილი და ყოველ მხრივ გაშუქებული რაც საუბედუროთ არ შეიძლება ითქვას ზოგ ჩემ „მეკრიტიკე“—„მეირონიე“ ამხანაგებზედ.

**გრიშა ბუქის.**

— —

**თბილისის რკინის გზის კონდუქტორების ცხოვრებიდგან.**

რვა საათი თუ ოცდა რვა საათი სამუშაო დღე!!!

პროლეტარიატის მედგარმა იერიშმა თვითმყრობელობის დახავსებული კედლები დაანგრია და ამ ნანგრევებზე ტინჯულმა ხალხმა ააფრიალა თავისუფლების წითელი დროშა ზედ წარწერით, გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლიუციას, გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს, გაუმარჯოს სოციალიზმსო. ეს მედგარი და შეუპოვარი ხმა ელვის სისწრაფით მოედვა მთელ ჩაგრულთა ბანაკს, და არ დარჩენილა თითქმის ისეთი სამრეწველო დარგი. რომ იქ რვა საათის სამუშაო დღე არ შემოეღოთ. მხოლოდ თბილისის კონდუქტორები არათუ რვა საათს. არამედ ოცდა რვა საათს მუშაობენ. და იმავე დროს 12 საათს ძლივსღა ისვენებენ. ხშირად გაიგონებ კონდუქტორებში ნ ღვლიან უიმედო ხმას, ჩვენთვის არ გათენებულა და არც გათენდებაო. მაგრამ ვინარის რომ ამას ყურადღება მიაქციოს და კითხვა აღძრას კანდუქტორების დასვენების შესახებ. ჩვენი კომიტეტები (ზოგიერთების გარკლებით) მას ლამობენ, თუ როგორ დაითხოვონ „ურჩი“ კონდუქტორები და თუ ვინმემ გამედა და სთქვა: ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც დასვენება გვინდა დროა გავიუმჯობესოთ ჩვენი პირობებიო.

ასე გვეპასუხებენ ხოლმე, ამას დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია და,თუ არ მოგწონს სამსახური, სახლში „მიბრძანდით“ და ხშირად დაპერითაც იმუქრებიან. საბრალოა ის ხალხი, ვისაც ასეთი მეთაურები ყავს, აგრამ იმედი ერთია: ტყუილად კი არ უთქვამს მარქსს, მუშათა განთავისუფლება თვითმუშების საქმეაო. ამხანაგებო შემოვკრბეთ და შევკავშირდეთ ერთად. ყოველ კრებებზე გავარკვიოთ, ვინ არის ჩვენი ინტერესების დამცველი, ვინც მედგრად ებრძოდა და ებრძვის უსამართლობას, და იმას მივანდოთ ჩვენი საქმე და არა იმ ცრუ—სოციალისტებს, რომელნიც რევოლიუციის შემდეგ დაიბადენ და მუშათა კითხვები ისე ესმით, როგორც მე თქვენს, მონა მორჩილს, ჩინური. ამხანაგებო, გამოვიწეროთ მუშათა ინტერესების დამცველი გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც გმობს ყოველ გვარ მიკიბულ—მოკიბული ორჭოფობას და ძირს უთხრის უსამართლობას, ამხანაგებო! დროა ჩვენც მოვითხოვოთ რვა სათის სამუშაო დღე, და თუ ეს ჩვენთან არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში, მოგვეცეს ზედმეტი დრო დასასვენებლად, მაში გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს.

ვ. ზამბახიძე.

## ბ რ ძ ო ლ ი ს ფ ო ნ დ ი.

**ს. სამიქაო.** ჩვენ სამიქაოის საზოგადოების მცხოვრებნი, სალამს ვუძღვნით ნამდვილი პროლეტარიატის ინტერესების დამცველს, „ბრძოლის“ რედაქციას და ვუგზავნით მისი ფონდის გასაძლიერებლათ ჩვენ შორის შეგროვილ წვლილს. დიდად სასურველია გაზეთი გამოდიოდეს ყოველ დღიურათ.

ხუთ-ხუთი მანეთი: ერ. ჯანგავაძემ და ჩიქოვანმა. სამ-სამი მანეთი —ა. ზრელიძემ, კატო დგებუაძემ და ნ. მიქელაძემ ორ-ორი მანეთი: კორძაიამ, მ. გიგინეიშვილმა, თამარა სულაბერიძემ, მ. ლოჩოშვილმა, ფ. შ ნგელიამ. თითო მანეთი — ლ. გუგუშვილმა, ვ. ჩებეიძემ. ორ. იოსავამ, გ. გიგინეიშვილმა, თამარა გუგუშვილმა —კ. ცომაიამ, პაშუტია კომელარიამ, იუხტია დარსმელიამ, პ. დარსმელიამ, ი. ბალათურიამ, ეკა ჩაჩავამ, ბ. მიქაძემ, ღ. კვანტალიამ, ა. თოფურიამ, ღ. მიქაძემ, ტ. კორძაიამ; მ. ბოკერიამ, პ. მიქაძემ, დათიკო ლოლ ბერიძემ, ბ. ჯიბლაძემ, ლ. ლოჩოშვილმა, ბ. ჩარგალაშვილმა მიქაძემ, ვ. კაჭარავამ, და ივ. გიგინეიშვილმა, ათ-ათი შაური—ს. კაჭარავამ. მ. გელაძემ, ვასასი კვანტალიანმა, ბ. გაბუნიამ, გიორგი გიგინეიშვილმა, მაქ. ჩაჩავამ, რისია ლოლაბერიძემ და ალ. ფირცხალავამ. სულ 58 მ.

ამხანაგების და თანამგრძნობთა მონდ. ივანე კვანტალიანი.

---

კვირას, 5 ნოემბერს 1617 წ. დილის 10 ს. რედაქციის ბინაზე (განოვის ქ.) დანიშნულია

## გაზეთ „ბრძოლის“

**სარედაქციო კოლეგიის სხდომა,**

რომელზედაც სასურველია დაესწრონ „ბრძოლის“ ყველა თანამშრომლები და კორრესპონდენტები.

განსახილველია გაზეთის იდეური და ტეხნიკური მხარეების უკეთ დაყენების საკითხი.

ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

**სარედაქციო კოლეგია.**

# № 5 სია № 5

# დამფუძნებელი კრების

**კანდიდატებისა,**

რომელიც წამოყენებულია კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ (რ. ს.-დ. მ. პ. (ბალშევიკებისა).

1. შაუმიანი სტეფანე გეორგის ძე, სრულიათ რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოების ცენტრ. აღმ. კომიტეტის წევრი. ბაქო.

2. ჯუღაშვილი (კობა, სტალინი) იოსებ ბესარიონის ძე, ლიტერატორი. პეტროგრადი.

3. ნარიმანოვი ნარიმანი,-დოქტორი. ბაქო,

4. ფიოლეტოვი ივანე ტიმოთეს ძე, მუშა. ნავთის მრეწველობის მუშათა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე და ბაქოს მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო-ბალახანა.

5. ცხაკაია მიხეილი გრიგოლის ძე, ჟურნალისტი, თფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

6. მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ლიტერატორი. თფ. საქ, საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

7. ჯაფარიძე (ალიოშა) პროკოპი აფრასიონის ძე, ბაქოს მ. და ს. დ. საბჭოს წევრი. ბაქო.

8. თოდრია სილიბისტრო იესეს ძე, მუშა. თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

9. ნაზარეტიანი გმაიაკი მარქარის ძე, თფ. მ. და ს. დ. ს. წევრი. თფილისი.

10. ქავთარაძე სერგეი ივანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

11. კუზნეცოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე, სტატისტიკოსი, თფ. მ. და ს. დ. ს. ა. კ. წევრი. თფილისი.

12. ისრაფილბეკოვი მაკუბეი. დოქტორი. ბაქო.

13. დენისოვი ათანასე ექვთიმეს ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ა. კ. წევრი.

14. ოკუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

15. ხანოიანი სარქის მელიქ., პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი.

16. მიშჩენკო კორნილი ვასილის ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ს. წევრი. თფილისი.

17. შავერდოვი დანიელი ალექსის ძე, ნაფიცი ვექილი, თფ. საქ. საბ. ხმოსანი. თფილისი.

18. ენუქიძე აბელი სოფრომის ძე, სალდათი. სრულიათ რუსეთის მ. და ს. დ. საბჭ. აღ. კ წევრი. პეტროგრადი.

19. ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფ. საქ. საბ. ხმოსანი, თფილისი.

20. რამონოვი ევგენი დავითის ძე, სამხედრო ექიმი, თფილისი.

21 ზარგარიანცი ალექსანდრე ოჰანესის ძე, მუშა. ბაქოს მუშათა და სალ. დეპ. საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო.

22. ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, კოოპერატორი, თფილისი.

23. იაგუბოვი სეითი დოკაფერი, მუშა. ბაქო-ბალახანა.

24. დუმბაძე ვლადიმერი ელიზბარის ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

25. კოლესნიკოვა ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, პედაგოგი. ბაქო.

26. აზიზბეკოვი მაშადბეგ, ინჟინერი. ბაქო.

27. ნანეიშვილი ბიქტორ ივანეს ძე, პედაგოგი ბაქო.

28. ათაბეგოვი არშაკი ნაზარის ძე, ბუნების მეტყ, თფ. საქ. ს. ხმოსანი.

29. არველაძე პეტრე იაკობის ძე, სალდათი. ალექსანდროპოლი.

30. ზევინი იაკობი დავითის ძე (პავლე კუზმინი) მუშა. ბაქო-ბალახანა.

31. ლეჟავა სიმონ კონსტანტინეს ძე, დოქტორი. ფოთი.

32. გაბრიელიანცი (კარინიან) არტაშ ვალასის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ბაქო.

33 თერიანი ვაგანი სუკიასეს ძე, პოეტი. ახალქალაქი.

34. მრავიან ასკანეზ არტემის ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი,

35. ბიკოვი მიხეილ ივანე მუშა ბაქო-ბალახანა.

36. იოანისიანცი აშოტ გა[illegible]ნეს ძე პედაგოგი, ეჩმიაძინი.

**კავკასიის საოლქო კომიტეტი რ. ს.დ. მ. პ. (ბალშევიკები).**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა.